

4. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების შესახებ

აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის უზრუნველყოფიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის შესახებ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1992 წლის 2 მარტის 00 საათიდან მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე

2. მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის რეალიზაციის მიზნით:

1. აიკრძალოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა და მოქალაქეთა გადაადგილება 23.00 საათიდან შემდეგი დღის 06.00 საათამდე;

2. აიკრძალოს დემონსტრაციები, ქუჩაში მსვლელობები და სხვა ღონისძიებებანი, რომელთაც შეუძლიათ ვითარების დესტაბილიზება;

3. აიკრძალოს გაფიცვების მოწყობა.

4. დაწესდეს, რომ:

_ მიტინგების ჩატარება დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით;

(...)

_ მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობენ შინაგან საქმეთა ორგანოები და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს განკარგულებით მათდამი მიკუთვნებული ძალები.

5. მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით:

_ ნება დართულ იქნას მოქალაქეთა და ტრანსპორტის პირადი შემოწმება;

_ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან აფხაზეთის მცხოვრებნი, გადაეცენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში და მათსავე ხარჯზე გაიგზავნონ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში;

_ ამოღებულ იქნას აფხაზეთის უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი წესის მიხედვით რეგისტრაციაში გაუტარებელი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, ფეთქე-

ბადი ნივთიერებანი და საბრძოლო მასალა ყველა მოქალაქის, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისაგან;

(...)

7. ეს დადგენილება მოქმედებს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების მიღებამდე.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: ვ. არძინბა.

1992 წლის 26 თებერვალი.

(გაზეთი “აფხაზეთის ხმა”, # 27, 1992 წლის 29 თებერვალი)